ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 312

"16" ივლისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.030) 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ. 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ. 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის №22.912.985 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ჯონდო ნაყოფიასთვის (პ/ნ. 01011077366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 720 (ექვსი ათას შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე